საინფორმაციო ბროშურა

წყალსაცავის ნატანისგან გარეცხვა

კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია," რომელიც ახორციელებს 187მგვტ-იანი შუახევი ჰესის ოპერირებას, ყოველწლიურად ახდენს დიდაჭარის და სხალთის წყალსაცავების ნატანისაგან გარეცხვას. ეს არის გეგმიური სამუშაო, რომლის მიზნია წყალსაცავებში დაგროვილი მყარი ნატანის გამოშვება ჰესის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

შუახევი ჰესის ორივე წყალსაცავი სადღეღამისო რეგულირებისაა, რომელთა ტევადობა საკმარისია ელექტროენერგიის პიკური გამომუშავებისთვის. წყალსაცავში ყოველდღიურად წყლის დონე იმატებს/იკლებს 10 მეტრით. წყალსაცავებიდან სადერივაციო გვირაბების საშუალებით ხდება წყლის ყოველდღიური გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო წყლის მიწოდებას.

წყალსაცავი	**მოცულობა მაქსიმალური შევსების პერიოდში (მილიონი მ³)**	**სასარგებლო მოცულობა (მილიონი მ³)**
სხალთა	0.75	0.2
დიდაჭარა	2.32	1.26

წინამდებარე ბროშურის მიზანია, შუახევი ჰესის არეალში მცხროვრებ მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია წყალსაცავის ნატანისგან გარეცხვის სამუშაოებთან დაკავშირებით და უსაფრთოების იმ ზომების შესახებ, რომელიც აუცილებელია ყველამ დაიცვას.

სხალთის კაშხალი და წყალსაცავი

დიდაჭარის კაშხალი

როგორ ხდება წყალსაცავის ნატანისგან გარეცხვა?

მთელი წლის განმავლობაში წყალსაცავში აკუმულირდება მყარი ნატანი, რომელიც დროთა განმავლობაში წყალსაცავში ილექება, ამას წყალსაცავის მოლამვას უწოდებენ. იმისათვის, რომ წყალსაცავმა არ დაკარგოს წყლის სასარგებლო მოცულობა (წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის), საჭიროა პერიოდულად მოხდეს წყალსაცავის გარეცხვა. კერძოდ, გაზაფხულზე, წყალუხვობის პერიოდში ხდება კაშხალის გამრეცხი ფარების გახსნა და წყლის ხარჯის გატარება ქვედა ბიეფში. წყალსაცავის გარეცხვის დროს სადერივაციო გვირაბას წყალი აღარ მიეწოდება და მდინარის ხარჯი სრული მოცულობით ტარდება ქვედა დინების მიმართულებით. ამ დროს ჰესი გაჩერებულია და არ ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ სხალთის და დიდაჭარის წყალსაცავების გარეცხვა ხდება ეტაპობრივად, პირველ ეტაპზე ხდება სხალთის წყალსაცავის გარეცხვა, ხოლო შემდგომ - დიდაჭარის, დაახლოებით 4-5 დღის ინტერვალით.

რა რაოდენობის წყალის გაშვება მოხდება გარეცხვის დროს და ხომ არ გამოიწვევს მიმდებარე ნაკვეთების დატბორვას?

თუ რა რაოდენობის წყლის ხარჯის გატარება მოხდება ქვედა დინებაში, ეს დამოკიდებულია მდინარის ბუნებრივ შემოდინებაზე. გარეცხვის დროს მდინარეში წყლის დონე მოიმატებს, თუმცა არ გადააჭარბებს მდინარის ბუნებრივი შემოდინების დონეს. დიდაჭარის წყალსაცავის რეცხვისას ხდება დაახლოებით 50-60მ^3/წმ წყლის გაშვება, ხოლო სხალთის წყალსაცავის რეცხვისას 30-40მ^3/წმ წყლის გაშვება.

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა მდ. სხალთისწყლის ჰიდრავლიკური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მდინარის კალაპოტის და შეტბორვის სიმაღლეების გამოვლენა მდინარეში არსებული სხვადასხვა ხარჯის დროს, 20მ^3/წმ-დან 100მ^3/წმ-ის ჩათვლით. კვლევის დროს გამოვლინდა მიწის ის ნაკვეთებიც, რომლებიც მოქცეულია ბუნებრივი დატბორვის რისკის ზონაში. კვლევის შედეგაგდ დადგინდა, რომ წყალსაცავების ნატანისგან გარეცხვით გამოწვეული მდინარის წყლის დონის მატება არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას მდინარის ბუნებრივი, სეზონური წყლის დონის მატებით გამოწვეულ დატბორვაზე.

გარდა ამისა, ყოველი გარეცხვის წინ ვახორციელებს ორივე ხეობის დრონით გადაღებას, რათა გამოვავლინოთ გარეცხვამდე არსებული მდგომარეობა და შემდგომ მოვახდინოთ გარეცხვის ზეგავლენის შეფასება/რეაგირება.

უსაფრთხოების რა ზომებს ატარებს კომანია?

წყალსაცავების გარეცხვა ხორციელდება საერთაშორისო ბანკების მოთხოვნების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინებით. ყოველი გარეცხვის წინ სამუშაოების შეთანხმება ხდება საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემასთან. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კომპანია ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ყოველი გარეცხვის წინ კომპანია აწვდის წერილობით შეტყობინებებს და ასევე ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების (ხულოს, შუახევის და ქედის) მერის წარმომადგენლებთან, თემის რწმუნებულებთან, ასევე პოლიციის, სახანძროს და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან.

- საინფორმაციო შეხვედრები ტარდება ქვედა ბიეფში მცხოვრებ მოსახლეობასთან, მდინარის კალაპოტთან ახლოს არსებულ სასწავლო დაწესებულებების პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

- წყალგაშვებამდე 15 წუთით ადრე და ასევე, უშუალოდ წყლის გაშვების დროს ირთვება გამაფრთხილებელი ხმოვანი სიგნალები.

- კომპანიამ ჰიდროელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხიდებთან, გადასასვლელებთან განათავსა უსაფრთხოების ნიშნები. მოსახლეობამ აუცილებლად უნდა გამოიჩინოს სიფრთხელე და დაიცვას უსაფრთხოების წესები.

გაითვალისწინეთ, რომ წყალგაშვების დროს მდინარეში წყლის დონე მოიმატებს, თუმცა არ გადააჭარბებს იმ დონეს, რაც მდინარის კალაპოტში პროექტამდე არსებობდა. წყალგაშვების დროს მდინარის ნაპირებიდან წყლის გადმოსვლა არ არის მოსალოდნელი.

წყალსაცავის გარეცხვას რა ზემოქმედება აქვს თევზებზე?

მსოფლიო პრაქტიკაში წყალსაცავების გამორეცხვისას იქთიოფაუნაზე (თევზები, მაკროუხერხემლოები, ასოცირებული ჰიდროფაუნა) ზეგავლენის მინიმიზირების მიზნით დანერგილია რიგი ღონისძიებები, რასაც შუახევიჰესი აქტიურად იყენებს, კერძოდ:

1. წყალსაცევების გამორეცხვის წინ, გამორეცხვის პროცესში და გამორეცხვის შემდგომ მიმდინარეობს გარემოსდაცვითი (თევზები, მაკროუხერხემლოები, წყლის ხარისხობრივი მახასიათებლები, სიმღვრივე) მონიტორინგი, რომლის მიზანია გამორეცხვის გარემოზე ზეგავლენის ფორმების და მასშტაბების შეფასება და მათ საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, ასევე თუ გამორეცხვის პროცესში მონიტორინგისას დაფიქსირდება კრიტიკული ნიშნულები მიიღება გადაწყვეტილება გამორეცხვის დროებით შეჩერების თაობაზე;

2. წყალსაცავების გამორეცხვა დასრულდება თევზის ინტენსიური ტოფობის პერიოდის დასაწყისამდე, რითაც მინიმიზირებული იქნება გამორეცხვის ნეგატიური გავლენა იქთიოფაუნის რეპროდუქციაზე;

3. შუახევიჰესის წყალსაცავების გამორეცხვა განხორციელდება ცალ-ცალკე და არა ერთობლივად, მინიმალური შუალედებით არანაკლებ 5 დღისა, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამორეცხვის კუმულაციური გავლენა მდინარე აჭარისწყალზე - მდ. სხლათის შეერთების ადგილზე და მის ქვევით;

4. წყალსაცავების გამორეცხვა განხორციელდება საგაზაფხულო წყალდიდობის პერიოდში, საგაზაფხულო წყალმოვარდნის ერთ-ერთი ეტაპის შემდგომ, რითაც მინიმიზირებული იქნება ნეგატიური გავლენა იქთიოფაუნაზე, რადგან ამ დროს თევზები აქტიური წარეცხვის უბნებიდან უკვე გადანაცვლებული არიან წარეცხვისგან განრიდების უბნებში;

5. წყალსაცავების გამორეცხვა განხორციელდება ყოველწლიურად, რათა თავიდან იქნას აცილებული წყალსაცავებში დიდი რაოდენობით ნალექის დაგროვება და შესაბამისად შემცირდეს გამორეცხვის პროცესის ზეგავლენის მასშტაბები.

გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ?

კომპანიას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლოთ აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოსთან, საგანგებო სიტუაციის დროს პირველი საკონტაქტო რგოლი არის აღნიშნული სამმართველო. ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის დროს უნდა დაუკავშირდეთ ნომერზე **112.**